ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №180662

ნომერი: AR152088

თარიღი : 18.05.2012

გაცემის თარიღი : 25.05.2012

გაცნობის თარიღი : 28.05.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სამხრეთ ფარეხი , N84 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან მჭედლიძე პ/ნ 01007012853
- თბილისი სამხრეთ ფარეხის ქ. N 84

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენებასთან დაკავშირებით 26.08.2011 #3419 ბრძანებით გაიცა უარი, ვინაიდან საკადასტრო ერთეულისთვის #01.13.06.004.019 ვრცელდება სატრანსპორტო ზონა–1–ის სტატუსი (იხ. დანართი).

„სატრანსპორტო ზონა 1 (ტრ-1) წარმოადგენს სატრანსპორტო ზონას, რომელიც მდებარეობს ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერსპექტიულ) ქუჩებს, გზებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, დროებით ავტოსადგომებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს (ჩამონათვალის ფარგლებში _ ტროტუარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, დროებით ჯიხურებს)“ (ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებას #4-13).

აგრეთვე, ზემოაღნიშნული და მიმდებარე ტერიტორიებისთვის სატრანსპორტო ზონა 1–ის ცვლილების საკითხი არაერთხელ იქნა განხილული “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” სხდომებზე, სადაც საკითხი გადაწყდა უარყოფითად. დანართის სახით გიგზავნით სამსახურის მიერ გაცემულ პასუხებს თქვენს დაიტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარე ტერიტორიებთან დაკავშირებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge